პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 226 (10312)

პარასკევი, 23 სექტემბერი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს. ნ. წიტაიშვილი. — კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება (მე-2 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).

ვ. რეხვიაშვილი, ვ. ბურჯანაძე. — გავაუმჯობესოთ პარტიული კომიტეტების ლექტორიუმთა მუშაობა (მე-2 გვერდი).

ე. სუპრიაგა. — რვა თვეში — 205 ათასი მანეთი ეკონომია (მე-3 გვერდი).

მ. წინამძღვრიშვილი. — რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება კარდიოლოგიაში (მე-3 გვერდი).

ა. მამალაძე. — შევქმნათ კარგი სახელმძღვანელოები მსუბუქი მრეწველობის სპეციალობათვის (მე-3 გვერდი).

ბელგიის პარლამენტის დელეგაციის ლონდონში (მე-3 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ დარბაზობა გამართა ბელგიის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ მოვაწყოთ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუღალავად მუშაობენ, რათა მნიშვნელოვნად გაადიდონ ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხის, მატყლის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება და ვადამდე შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებანი. სამეურნეო წლის 11 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 675 კილოგრამი რძე, წლიური გეგმა შესრულებულია 96,4 პროცენტით. გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით ერთი საფურაქე ძროხის წველადობა გადიდდა 251 კილოგრამით.

პარტია გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის წარმატებით განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ძირითადი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. მიმდინარე წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს სპეციალური ნაგებობათა ასაშენებლად. ამჟამად გაჩაღებულია საკვების დასილოსება. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დადგენილი წესის მიხედვით აწარმოებენ სიმინდის ტაროს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში და ღეროს ცალცალკე აღებასა და დასილოსებას.

მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ მუშაობის სწორად მოწყობის პირობებში შესაძლებელია წლის ყველა პერიოდში შენარჩუნებულ იქნას მაღალი წველადობა და მეცხოველეობის საერთო პროდუქტიულობის გადიდება. მოწინავე მეურნეობები დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმის ვადამდე შესრულებას აგრეთვე იმით აღწევენ, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის ზრდის დამთავრებასა და გასუქებას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების ტემპი ზოგიერთ რაიონში დაბალია და გადაჭრით გაძლიერებას მოითხოვს. ხორცის სახელმწიფო შესყიდვა ჩამორჩება განსაკუთრებით ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ჩვენს რესპუბლიკაში ცუდად არის გამოყენებული ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმის შესრულების არსებული შესაძლებლობები.

ხორცის დამზადება და შესყიდვა ცუდად არის ორგანიზებული თეთრი წყაროს, კასპის, კაჭრეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყაზბეგის, წალკის, ხაშურის, აბაშის, მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონებში.

რძისა და კვერცხის დამზადებასა და შესყიდვაში ჩამორჩებიან ახმეტის, ვანის, გეგეჭკორის, ზესტაფონის და სხვა რაიონები.

პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაისაბჭოების აღმასკომების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობითა და დამამზადებელი ორგანიზაციების ცუდი მუშაობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 1 სექტემბრისათვის ხორცის შესყიდვა ინდივიდუალურ მეურნეობებში დაწყებული არ ჰქონდათ დუშეთის, თიანეთის, ლენტეხის, მესტიის, წულუკიძის რაიონებს, ხოლო რძისა — ბოლნისის, გარდაბნის, ამბროლაურის, თერჯოლის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ცაგერისა და სხვა რაიონებს.

ახლა, როცა პროდუქტების საერთო დამზადებაში დიდია სახელმწიფო შესყიდვის ხვედრითი წონა, საბჭოთა დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ გააჩაღონ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. ცკკ-ის გამგეობა ვალდებულია მოაწყოს კოლმეურნეობებისათვის სამრეწველო საქონლის შემხვედრი მიყიდვა. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმები კოლმეურნეობაში, რაიონში, ოლქსა და რესპუბლიკაში შესრულებულად ჩაითვლება იმ პირობით, თუ შესრულებულია ერთად აღებული დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

შემოდგომა გადამწყვეტი პერიოდია მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში. ხორცის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები სერიოზული ამოცანის წინაშე დგანან. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო კარგად უნდა მოემზადოს პირუტყვისა და ფრინველის მიღებისა და გადამუშავებისათვის, ხოლო ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ოპერატიული დახმარება უნდა აღმოუჩინონ დამამზადებელ ორგანიზაციებს და ხორცის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს ამ საქმეში.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წყვეტენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ბედს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაადგინა, რომ მტს-ებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობების მიერ მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლისა და მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებისათვის. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ ზევრი მტს-ი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს დამზადების საქმეს. მტს-ების დირექტორები მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეს ისეთივე მზრუნველობით უნდა მოეკიდონ, როგორც ხვნა-თესვას, ნათესების დამუშავებასა და მოსავლის აღებას.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. საჭიროა არსებული რეზერვების უნარიანი გამოყენება. ხორცის წარმოების გადიდების რეზერვია უწინარეს ყოვლისა მეღორეობის, როგორც ყველაზე მალემზადი მეცხოველეობის დარგის სწრაფი განვითარება, ღორის ხორცის ხვედრითი წონის გადიდება ხორცის საერთო წარმოებაში, აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის ბაგური და საძოვარზე გასუქების უკით მოწყობა და მეფრინველეობის ფართოდ განვითარება.

მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ტემპის გაძლიერება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დამამზადებელი ორგანიზაციების ოპერატიულ მუშაობაზე. დამამზადებელი აპარატი საათის კარგი მექანიზმივით უნდა მუშაობდეს. სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის საქართველოს სს რესპუბლიკაში და მისი ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ვალია გადაჭრით გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საქმისადმი, უზრუნველყონ სახელმწიფო და დამზადების დისციპლინის განმტკიცება, გაძლიერონ მომთხოვნელობა სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი ორგანიზაციისადმი, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ინდივიდუალური ჩამბარებლები ასრულებდნენ ყველა ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე.

საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. კოლმეურნეები, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ჩაბმული არიან სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. პარტიული ორგანიზაციების საპატიო მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, დარაზმონ ისინი მათ წინაშე დასახული გადაუდებელი ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის. ეს იქნება საქმით პასუხი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებაზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ.

მის აღმატებულებას ბატონ კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

დავბრუნდი რა სამშობლოში, გულწრფელ მადლობას გიძღვნით თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, და ყველა პირთ, რომლებმაც ხელი შეუწყეს სსრ კავშირში ჩემი ვიზიტის წარმატებას, იმ გულითადი მიღებისა და გულღია სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მე და ჩემს ყველა თანმხლებ პირს აღმოუჩინეთ მოსკოვში ჩვენი ყოფნის დროს. ამასთან ერთად ბატონო თავმჯდომარეო, პირადად თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მთავრობას ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას იმ განსაკუთრებული კეთილმსურველობისათვის, რომელიც ჩვენი მოლაპარაკების დროს საბჭოთა მხარემ გამოიჩინა ფინეთის მიმართ. ამ მოლაპარაკების შედეგები ძვირფასია ორივე მხარისათვის და მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი ხალხების ერთგულ მეგობრობას.

ი. კ. პაასიკივი

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ჰელსინკი.

საბჭოთა საქართველოს დღე

* * *

თბილისი. ლოკომოტივსარემონტო ქარხანა. ინჟინერ-რაციონალიზატორის პავლე ქათამაძის წინადადებით დამზადებულია სამარჯვი თვლების სახარატო ჩარხზე დამუშავებისას გოგორწყვილების დასამაგრებლად. **სურათზე:** ინჟინერი პ. ქათამაძე (მარჯვნივ) და ხარატი ვ. მარქარაშვილი თვლების სახარატო ჩარხს უყურებენ სამარჯვს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

★

შახტმა შეასრულა ხუთწლიანი გეგმა

გელათი. (საკ. კორ.). გელათელმა მეშახტეებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული და შრომითს ვახტზე დგანან, დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. მათ 21 სექტემბრისათვის შეასრულეს ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმის დავალება. მიმდინარე წელს 1950 წელთან შედარებით სათბობის სადღეღამისო ამოღება გადიდდა 37,1 პროცენტით, ხოლო თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 48,2 პროცენტით.

ახალი საავადმყოფო

ლენტეხი. (საკ. კორ.). დღითიდღე უმჯობესდება ქვემო სვანეთის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმე. აშენდა და ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა 10-საწოლიანი საავადმყოფო სოფელ ჯახუნდერში. საავადმყოფოს აქვს ქირურგიული, თერაპიული და სტომატოლოგიური კაბინეტები.

ახალი საავადმყოფო მომსახურებას გაუწევს ჯახუნდრის, ჩუკულის, ლეკოსანდის, სასაშის, ჩიხარეშის, შკედის, მელესა და ღობ-ნაცულის მცხოვრებთა.

რესპუბლიკური თათბირი ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარეობის საკითხებზე

ამას წინათ გაიმართა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ხორცის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. თათბირი მიეძღვნა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარეობის საკითხს.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულმა წითელწყაროს რაიონში ამხ. ი. ხალაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. უზნაძემ, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. მამაიაშვილმა, თეთრი წყაროს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. ჩომახაშვილმა, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. ი. კავლაძემ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ლაბახუამ, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამხ. პ. ხარებოვმა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ნარსიამ, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. ჯომარჯიძემ, ზოგდანოვკის მტს-ის დირექტორმა ამხ. გ. ზაღდასაროვმა, დუშეთის მტს-ის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ამხ. გ. მთვარელიშვილმა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ოსოშვილმა, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ქვლივიძემ, თბილისის ხორცკომბინატის დირექტორმა ამხ. ა. ქვარცხავამ, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ჩიქოვანმა.

თათბირის მონაწილეებმა გამოავლინეს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებას და დასახეს ღონისძიებანი ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ. (საქდესი).

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის კოლმეურნეობაში შეუდგნენ მზადებას პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის. ამჟამად ისინი აწარმოებენ სიმინდის ტაროს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში და ღეროს ცალცალკე აღებასა და დასილოსებას. **სურათზე:** მეძროხეობის ფერმის გამგე ზოოტექნიკოსი ა. ხოკავა დასილოსების წინ ათვალიერებს ასაღებ სიმინდს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

თესვა გაჩაღდა

ქარელი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა. სოფელ რუისის კოლმეურნეობაში რუისის მტს-ის მექანიზატორებმა უკვე დათესეს 550 ჰექტარი. საშემოდგომო თესვაში დაწინაურდნენ ქარელის სტალინის სახელობის, ბრეთის, ძლევიჯვრის, თამარაშენის, სასირეთისა და ახალსოფლის კოლმეურნეობები.

სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). სულ უფრო მიმზიდველი და კეთილმოწყობილი ხდება ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ ცენტრი. კოლმეურნეებმა სოფლის თითქმის ყველა უბანში გაიყვანეს საავტომობილო გზები. ამჟამად სოფელს ამშვენებს რვაწლიანი სკოლის შენობა, სოფლის მაღაზია, საექიმო პუნქტი. სოფელს აქვს აგურის ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად ნახევარ მილიონ ცალ აგურს ამზადებს. აშენდა კაპიტალური საწყობი მინერალური სასუქების შესანახავად.

მარშან აქ ააშენეს კლუბისა და კოლმეურნეობის კანტორის ახალი კაპიტალური შენობა. მალე დამთავრდება სტანდარტული ბოსლის მშენებლობა. კოლმეურნეთა ხინები ილიჩის ნათურებით არის გაჩირაღდნებული. სოფლის დიდი ნაწილი რადიოფიცირებულია.

ბევრმა კოლმეურნემ აიშენა ახალი სახლი, შეიძინა რადიომიმღები, ძვირფასი ავეჯი და სხვ.

სტუმრები მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში

გურჯაანი. (საკ. კორ.). ერთ წელზე მეტია, რაც მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის შუმანის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივთან. მუკუზნელმა მევენახეებმა შარმან წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება: საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 80 ცენტნერი ყურძენი და სახელმწიფოს 1,5 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მისცეს. მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის ვენახები წელს უკეთესად არის მოვლილი. მალე დაიწყება რთველი.

ამას წინათ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შესამოწმებლად მუკუზნის საბჭოთა მეურნეობას ესტუმრა შუმანის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დელეგაცია. სტუმრებს შორის იყვნენ მეურნეობის აგრონომი პ. ავაქიანი, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები ე. ელამერიანი, ქ. დავითიანი, დ. ბაგრამიანი და სხვები.

სომეხი მევენახეები დაწვრილებით გაეცნენ მუკუზნელთა საქმიანობას. მეურნეობის აგრონომმა ი. ევანიამ, ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა დ. მინდორაშვილმა და სხვებმა სტუმრებს მოუთხრეს იმის შესახებ, თუ როგორ აღწევენ ჰექტარზე 120-130 ცენტნერი ყურძნის მოღებას. შუმიანელებმა შემდეგ ინახულეს სასათბური მეურნეობა, მუშათა საცხოვრებელი სახლები, საყარმიდამო ნაკვეთები.

სტუმრად ჩამოსული სომეხი მევენახეების პატივსაცემად მეურნეობაში გაიმართა საზეიმო საღამო. მეურნეობის დირექტორმა ი. ინდაშვილმა, აგრონომმა ა. ერჩიკმა, მოწინავე მევენახე ა. მიკირტიჩიანმა თავიანთ სიტყვებში დიდი სიხარული გამოთქვეს სომეხ მევენახეთა სტუმრობის გამო. შუმიანის სახელობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა პ. ავაქიანმა მუკუზნელებს ახალი წარმატებანი უსურვა. ბრიგადირმა ქ. ელამერიანმა ქართველ მევენახეებს გადასცა შუმიანელთა დანაბარები:

— კვლავ განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის უხვი მოსავლისათვის.

მასპინძლებმა სომეხი სტუმრები წაიყვანეს წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ მათ დათვალიერეს დეკორაციული პარკი, ღვინის ქარხანა, იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

გამომშვიდობებისას შუმიანელმა მევენახეებმა მუკუზნელებს სთხოვეს ესტუმრონ მათს მეურნეობას.



მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში დაამზადეს ახალი საწარმოო ავტომატური ხაზი „დ ტ — 54“ მარკის ტრაქტორის ცილინდრების ბლოკის დასამუშავებლად. ხაზში ჩართულია ჰიდრავლიკური სატრანსპორტო დანადგარების 20 საგრეგატო ჩარხი. ხაზი ერთსა და იმავე დროს ასრულებს ოთხ ოპერაციას: დარვას, ბურღვას, მოხარატებასა და დაკალიბრებას.

ახალი საწარმოო ხაზი წინათ არსებულ საწარმოო ხაზთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტი წარმადობისა არის. ხაზს მომსახურებას უწევს სულ ორი მუშა.

სურათზე: ახალი ავტომატური ხაზი.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩ ვ ე ნ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ მ ო ს კ ო ვ შ ი

თვითმფრინავი მიდის თბილისში...

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის აეროპორტში არც დღისით და არც ღამით არ წყდება მუშაობა. ეს აეროპორტი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხესთან, მსოფლიოს ყველა მხარესთან დაკავშირებულია საჰაერო გზებით.

ვნუკოვოს აეროპორტი ყოველ რამდენიმე წუთში იღებს და გზავნის საჰაერო ხომალდებს. მგზავრებს შორის არიან მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები. კომფორტაბელურ თვითმფრინავებს საბჭოთა ადამიანები და უცხოელი სტუმრები საჰაერო გზებით ჩამოჰყავთ ამ უმნიშვნელოვანეს პორტში. თვითმფრინავები მიდიან ურალსა და ბერლინში, მინერალნეი ვოდასა და ბალტიისპირეთში, იაკუტსკსა და პარიზში, ციმბირსა და პრაღაში, ხაბაროვსკსა და ბუქარესტში, მურმანსკსა და თბილისში, ერევანსა და ალმა-ატაში.

ვნუკოვოს აეროპორტიდან თვითმფრინავებს როგორც მიაქვთ, ისე მოაქვთ მრავალ ტონობით სხვადასხვა ტვირთი, ათეულ ათასობით წერილი. რა სახის ტვირთს არ შეხვდებით აეროპორტში? ერთ დღეს აქ ყველას ყურადღება მიიპყრო საოკარმა ტვირთმა — მაიმუნებმა, რომლებიც თბილისის ზოოპარკში გადაჰყავდათ საცხოვრებლად. ხშირად აქედან სასწრაფო ტვირთები იგზავნება ყამირი და ნასვენი მიწების თვისების რაიონებში.

მაგრამ ყველაზე მრავალფეროვან ტვირთებს ვნუკოვოს აეროპორტში ნახავთ ახლა — 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის დღეებში. აქ ყოველდღე მრავალი ექსპონატი ფოაქვთ გამოფენისათვის.

თვალუწვდენ საბჭოთა მიწა-წყალზე ადამიანები ახლა იღებენ უხვი ზაფხულის ნაყოფს. სასახელოდ შრომობდა ჩვენი ხალხი წელს. და ვნუკოვოს აეროპორტის მეშვეობით დედაქალაქში ოვითმფრინავებს მოაქვთ ხალხის უხვი საჩუქარი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

დედაქალაქში ნახავთ აზერბაიჯანის, სომხეთის, ტაჯიკეთის, საქართველოს ვენახებში რამდენიმე საათის წინათ მოკრეფილ ყურძნის ტაეფებს.

ეს ყურძენი ამშვენებს გამოფენის ბევრ სტენდს. გამოფენაზე აეროპორტიდან მოზიდეს 1955 წლის მოსავლის ყუბანური ჯიშის შესანიშნავი ხორბლის ძნები, სურნელოვანი ნესვები ჩარჯოუდან... ვაშლი, მსხალი და ნაირფერი ყვავილები გამოუგზავნიათ ლვოვიდან. ვნუკოვოს აეროპორტიდან საქართველოს სსრ პავილიონში ახლახან მოიტანეს ფოთლებგაცლილი სიმინდის ღეროები შესანიშნავი ტაროებით, რომლებიც მარლაში ფრთხილად გაუხვევიათ, დიდ ყუთებში კი სიმინდის ნორჩი ტაროებია.

ეი აეროვაგზალში გაისმა სიტყვები: „იწყება ჩაჯდომა თვითმფრინავში, რომელიც მიდის მარშრუტით მოსკოვი — როსტოფი — თბილისი“. მგზავრები თავიანთ ადგილებს იკავებენ საჰაერო ხომალდში, ამბარებენ ტვირთს. ვერცხლისფერი უზარმაზარი „ფრინველი“ მძლავრი მოტორების გრიალით აფრინდა ჰაერში და კურსი აიღო მზიური საქართველოსაკენ.

გაიელის რამდენიმე საათი, და მგზავრები, რომლებმაც მოსკოვში იეახშმეს, ისაუზმებენ თავიანთ ოჯახის წევრებთან ერთად თბილისში.

კურსკის ვაგზალში

საქართველოს მცხოვრებთათვის კარგად არის ცნობილი მოსკოვის კურსკის ვაგზალი. ამ ვაგზალში ჩამოდიან ისინი თბილისიდან, ერევნიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, წყალტუბოდან მომავალი მატარებლებით. აქედანვე ბრუნდებიან ისინი უკან თავიანთ სამშობლოში.

უნდა ითქვას, რომ მოსკოვის კურსკის ვაგზალი სახელგანთქმულია მთელი რიგი ახალი წამოწყებებით, რომელთა მიზანია მგზავრების უკეთ მომსახურება. მაგალითად, რკინიგზის ბილეთების წინასწარ დაკვეთა ამ ვაგზალში დიდიხანია ტრადიციად არის დამკვიდრებული. შემოღებულია დაკვეთების მიღება უკანდასაბრუნებელ ბილეთებზე სოჭიდან, კისლოვოდსკიდან, სიმფეროპოლიდან.

შემოღებულია ახალი წესი სატრანზიტო მგზავრებისათვის, რომლებიც მოსკოვის გავლისას ვალდებულნი ხარან შეამოწმონ თავიანთი ბილეთები მოსკოვში და რომლებსაც ს

ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

სოხუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში გაიმართა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორების, ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელების თათბირი, მიძღვნილი პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისადმი.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივნის პ. კრასინსკის, პარტიის გულრიფშის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ჯ. შენგელიას, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელის ა. კაკულიას მოხსენებები პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. თათბირზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე, ზაფხულის პერიოდში, გაიმართა პარტიული კრებები, რომლებზეც განხილულ იქნა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. ამჟამად დამთავრებულია პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება-დაზუსტება. პოლიტიკური სწავლების ფორმის არჩევისას განუხრელად ხორციელდება ნებაყოფლობის პრინციპი. კომუნისტთა დიდი ნაწილის სურვილია დამოუკიდებლად შეისწავლოს მარქსისტულ-ლენინური თეორია. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი სისტემატურ დახმარებას.

წელს განსაკუთრებით გაიზარდა იმ კომუნისტთა რიცხვი, რომლებსაც სურთ შეისწავლონ პოლიტიკური ეკონომია. პარტიულმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს კომუნისტთა მოთხოვნები და მნიშვნელოვნად გაადიდეს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების რაოდენობა. გაუმჯობესდება საკონსულტაციო მუშაობა. მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებში და რაიონის ცენტრს დაშორებულ სოფლებში იქმნება საკონსულტაციო პუნქტები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება

რაიონის პარტიული ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში. კომუნისტების საგრძნობლად ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდით დაეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ამის შედეგად შემცირდა პოლიტსკოლეებისა და წრეების რაოდენობა. მაგალითად, ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში ნაცვლად გასული წლის 117 წრისა და პოლიტსკოლისა იმუშავებს 92 წრე და პოლიტსკოლა.

ტრუშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის, ნასაკირალისა და მახარაძის პირველი ჩაის ფაბრიკების პარტიულ ორგანიზაციებთან კომუნისტთა მოთხოვნით შეიქმნა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები. აღნიშნულ სემინარებში თეორიასთან ერთად შეისწავლიან სოციალისტური ეკონომიკის ცალკეულ საკითხებს. ტრუშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარში უკვე შეადგინეს მომავალი მეცადინეობის გეგმა. ლაითურის ჩაის სპეჰოთა მეურნეობის, აგრეთვე ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციებთან შეიქმნა პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარები.

მტს-ის პარტიულ ორგანიზაციასთან დაკომპლექტდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი. სემინარის ხელმძღვანელად დამტკიცებულია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ს. ფირცხალაშვილი.

დიდი ყურადღება ექცევა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი დახმარებასა და ქმედითს კონტროლს. პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთა დასახმარებლად რაიკომმა შეარჩია და დაამტკიცა 58 კონსულტანტი.

ლექციური პროპაგანდის გაძლიერების მიზნით ახალი ძალებით შეივსო რაიკომის ლექტორთა ჯგუფი. პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთა დასახმარებლად ლექტორმა მ. მელიქაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ფორმები და მეთოდები“. პარტიულ ბიბლიოთეკაში მოეწყო თემატური გამოფენა, მიძღვნილი სკკპ ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის საკითხებისადმი.

ხორციელდება ლონისძიებანი პროპაგანდისტთა თეორიული მომზადებისა და მეთოდური დახელოვნების დონის ამაღლებისათვის. წელს 12 პროპაგანდისტი იგზავნება ექსკურსიაზე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ მთლიანად გამოიყენონ დარჩენილი დრო და ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. ისინი ომისათვის იბრძვიან, რომ არ გაიმეორონ გასული სასწავლო წლის შეცდომები, მტკიცედ დაიცვან ნებაყოფლობის პრინციპი და რაც შეიძლება მაღალ დონეზე მოაწყონ კომუნისტების პოლიტიკური სწავლება.

ნ. ფიტაიშვილი,

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

წარჩინებული მევენახე გამოცდას აბარებს

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში ხახელი გაითქვა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშეს კოლმეურნეობა „იმედის“ ბრიგადირმა პეტრე კიკალეიშვილმა.

სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, ჯერ რგოლის ხელმძღვანელად, შემდეგ კი ბრიგადირად მუშაობდა. ბრიგადამ სანიმუშოდ შოუარა 65 ჰექტარ ვენახს და საშუალოდ ჰექტარზე 108 ცენტნერი ყურძენი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 78 ცენტნერისა. ამ წარმატებისათვის პ. კიკალეიშვილს სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური ზრდილობა მიენიჭა.

წარჩინებული მევენახე სამი წელია სწავლობს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელ საგურამოს სახოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლაში. აქ იგი გამოირჩეოდა ბეჯითი სწავლით. პ. კიკალეიშვილი დღიდან სწავლის დაწყებისა ხუთოსანია, ახლა იგი ამთავრებს სკოლას.

სურათზე: პ. კიკალეიშვილი (მარჯვნივ) უკანასკნელ გამოცდას აბარებს მემცენარეობაში.

ფოტო და ტექსტი შ. კუკულავასი.

გორელ კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე

გორი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში ახალი შრომითი აღმავლობაა. ყოველდღიურად ფართოვდება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

რაიონში საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორად გამოვიდა ახალსოფლის მტს-ის მეცხრე სატრაქტორო ბრიგადის კოლექტივი (ბრიგადირი დ. ხუროშვილი, პარტჯგუფორგანიზატორი ვ. ლომთათაძე). შეჯიბრების ინიციატორებმა იკისრეს საშემოდგომო ხვნა-თესვის მოკლე ვადაში დამთავრება, ამასთან თავთავიანი კულტურების მთელი ფართობის ჯვარედინად და ვიწრო მწკრივად დათესვა.

ამ სატრაქტორო ბრიგადას საშემოდგომო ხვნა ჩატარებული აქვს 580 ჰექტარზე. ტრაქტორისტები გ. ქერდიყოშელი და ა. მუკნიშვილი ხვნის ღიღურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

სოფელ კარალეთის „კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეცხოველეები, რომლებმაც დიდი ხანია შეასრულეს ძროხების წველადობის გეგმა, იბრძვიან ომისათვის, რომ მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დამთავრებამდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.400 კილოგრამი რძე.

მდინარე ლიახვის მარჯვენა მხარეზე გაშლილ ლამიან მიწებში შინდისის მტს-მა გააჩაღა საშემოდგომო თესვა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაღიდებისათვის

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ზრუნვა მეცხოველეობის აღმავლობისათვის ზრუნვაა. ამიტომ ისინი მხურვალედ გამოეხმაურნენ მოწინავე მეცხოველეების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას და გააჩაღეს ბრძოლა პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლებისათვის.

მოკლე ხანში შევაკეთეთ არსებული სასილოსე კოშკები, გარდა ამისა ავაგეთ რვა ახალი კოშკი, რომლებიც საერთო ტევადობით ბევრად სჭარბობენ კოლმეურნეობის არსებობის მთელ მანძილზე აგებული სასილოსე კოშკების საერთო ტევადობას. უკვე დავასილოსეთ ორას ტონაზე მეტი საკვები. სასილოსედ ძირითადად ვიყენებთ რძისფერ-ცვილისებრ სიმწიფეში აღებულ სიმინდის ტაროს, მწვანე ჩალას და სოიას. გარდა ამისა, ვასილოსებთ ნოყიერ ბალახებს და მცენარეთა მწვანე ფოთლებს.

მაღალხარისხოვანი სილოსის დამზადების საქმეში თავი ისახელეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც დ. გოჩელაშვილი, ვ. მესხორაძე და ი. ჭელიშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი დასილოსებაზე იყენებენ სილოსსაკრელ მანქანებს, მოწყობილია სადღეღამისო მუშაობა.

წელს ჩვენი კოლმეურნეობა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დაამზადებს სულ მცირე 4 ტონა სილოსს, 5 ცენტნერ კონცენტრატებს და 15 ცენტნერ უხეშ საკვებს.

დ. რობაქიძე,

ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გაზეთების ფურცლებიდან

პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის

პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის გარკვეული მუშაობა წარმოებს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის საშუალო სკოლაში. მოსწავლეები პედაგოგიური კოლექტივის აქტიური დახმარებით ენერგიულად შრომობენ სკოლის სასწავლო-საცდელ მიწის ნაკვეთში. როგორც წითელწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალ შირაქში“ ზემო ქედის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი თ. სვარიძე წერს, სასწავლო-საცდელ მიწის ნაკვეთში მუშაობით მოსწავლეები ეცნობიან მცენარეული ორგანიზმების სასიცოცხლო პროცესებს, მათი ზრდა-განვითარების კანონებს, სწავლობენ მცენარეთა მოვლა-პატრონობის წესებს, რაიონისათვის დამახასიათებელი კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზებს, იძენენ სოფლის მეურნეობის დარგში პრაქტიკული მუშაობის საჭირო ჩვევებს.

სკოლის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის ფართობი 24 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. აქედან 4 ათასი კვადრატული მეტრი დაყოფილია 6 განყოფილებად (მემინდვრეობის, მეხოსტნეობის, მეხილეობის და სხვ.). გაზაფხულის დადგომისთანავე სკოლის ნორჩმა ნატურალისტებმა დარგეს და გაახარეს 50-ზე მეტი ვაშლის, მსხლის და ქლიავის ნერგი, სანერგეში გაზარდეს 500-ზე მეტი ალვისხე და ტირიფი.

სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მეხოსტნეობის განყოფილებაში მომუშავე მეხუთე-მეექვსე კლასების მოსწავლეებმა სათანადო აგროტექნიკური წესების დაცვით კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგეს კარტოფილის ტუბერი. ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მემინდვრეობის განყოფილებაშიც, სადაც სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი სიმინდის კარგი მოსავალი მიიღეს.

სკოლის მოსწავლეები სასწავლო-საცდელ ნაკვეთში მუშაობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. მათ წელს ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 15 ჰექტარზე გათოხნეს სიმინდის, 12 ჰექტარზე — მზესუმზირას ნათესები, მოახდინეს აგრეთვე მზესუმზირას ნათესების გამოხშირვა 8 ჰექტარზე.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში სკოლის 300-ზე მეტმა მოსწავლემ საკოლმეურნეო მინდვრებში 5.600 შრომადღე გამოიმუშავა.

პოლიტექნიკური სწავლების დანერგვაში მოპოვებული წარმატებებისათვის ზემო ქედის საშუალო სკოლა წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი არ უნდა დაკმაყოფილდეს პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის საქმეში მოპოვებული მიღწევებით. კერძოდ, მას დიდი მუშაობა მოელის მომდინარე სასწავლო წლიდან შემოღებული ახალი საგნების — მანქანათმცოდნეობის და სოფლის მეურნეობის პრაქტიკის — სწავლების სანიმუშოდ მოწყობისათვის.

სანატორიუმი „უკრაინა“ 20 წლისაა

კურორტ გაგრის ერთ-ერთ საუკეთესო სანატორიუმს „უკრაინას“ არსებობის 20 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს გაგრის რაიონულმა გაზეთმა **„გამარჯვების დროშამ“** მთელი გვერდი მიუძღვნა, რომელშიც სანატორიუმის დირექტორის ვ. სმოლინის წერილთან ერთად დაბეჭდილია მოგონებები სანატორიუმის ძველი მუშებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ სანატორიუმის მშენებლობაში და შემდეგ დარჩნენ თავიანთ მიერ აშენებულ ჯანმრთელობის კერაში სამუშაოდ და ახლა დაკისრებული საქმისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითს იძლევიან.

სანატორიუმ „უკრაინაში“ — ამ საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერაში — ყოველწლიურად დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოდიან მშრომელები ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. სანატორიუმში ყველა პირობაა შექმნილი ავადმყოფთა დასვენებისა და მკურნალობისათვის. მათს განკარგულებაშია კარგად მოწყობილი პლაჟი, წყალსამკურნალო, მკურნალობის ფიზიოთერაპიული მეთოდების კაბინეტი, ინგალატორიუმები, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტი, კლინიკური ლაბორატორია და სხვ.

სანატორიუმი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ექიმებით, საშუალო კვალიფიკაციის მედმუშაკებით, აგრეთვე ტექნიკური და მომსახურე პერსონალით. მის მუშაკთა კოლექტივიდან ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან ექიმები ნ. აბრამიშვილი, ზ. კლიმეშვიჩი, გ. ლასკავი, გ. ჩოლოკიანი, რენტგენოტექნიკოსი ა. ნოვიკოვი, სამედიცინო დები ბონდარენკო, კოვალევსკაია, სუსლოვა, სუვოროვა, გოლტბერგი და ბევრი სხვა.

იუბილესთან დაკავშირებით უკრაინის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს უფროსის ხრძანებით სანატორიუმის თანამშრომელთა დიდ ჯგუფს მრავალი წლის მანძილზე უმწიკლო მუშაობისათვის გამოეცხადა მადლობა შრომის წიგნაკებში შეტანით.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციას სოფლკორი სწერდა, საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება უხეშად ირღვევა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ქემერტელიძე და საწყობის გამგე გ. დეკანოიძე საკოლმეურნეო ქონებას ანაგვებენო.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომს გადაეგზავნა.

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიუროს რჩევით სოფელ მერჯევის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ლ. ქემერტელიძე სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევისათვის მოხსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან.

სამუშაოდან მოიხსნა აგრეთვე კოლმეურნეობის საწყობის გამგე გ. დეკანოიძე.

გავაუმჯობესოთ პარტიული კომიტეტების ლექტორიუმთა მუშაობა

კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლექციურ პროპაგანდას, რომელიც მასებთან იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია. ლექციები და მოხსენებები ეხმარება მშრომელებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაში, აცნობს მათ სამშობლო და საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, აღვიძებს ფართო მასების ინტერესს ცოდნისადმი. ლექტორთა დიდი უმრავლესობა მონდომებით და საქმის სიყვარულით სისტემატურად ეწევა მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დიადი იდეების პროპაგანდას, განუმარტავს მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, აცნობს მათ ახალ მოვლენებს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ცხოვრებაში, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს, ხელს უწყობს წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

პარტიული განათლების სისტემაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ლექციურ პროპაგანდას, რადგან ამ ფორმაც, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იგი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს.

მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლელთა რიცხვის მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების წინაშე დაისახა ამოცანა ახალ სასწავლო წელს უფრო მეტი გაძლებით მოაწყონ ლექციური პროპაგანდა და ამაღლონ მისი იდეური დონე. ფართოდ ეწყობა პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, საერთაშორისო მდგომარეობის, კონკრეტული ეკონომიკის დარგში ლექციების ციკლის კითხვა, რაც გაამართლა თავისი დანიშნულება.

დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად გასულ სასწავლო წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მოაწყო ლექციების 33 ციკლი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დახმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძირითად ფორმას წარმოადგენს ლექტორიუმი.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული ლექტორიუმების მუშაობის სწორად, ორგანიზებულად წარმართვა კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესებას უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ლექტორიუმი არის განსაზღვრული ადგილი, საიდაც პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმით იკითხება ლექციები. ლექტორიუმის მუშაობის ძირითადი ამოცანაა დახმარება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლაში იმ კომუნისტებს და უპარტიო აქტივისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ. ამ დახმარებას ლექტორიუმი ახორციელებს ლექციების ციკლის მოწყობით სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, საერთაშორისო საკითხების დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტიის მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული ლექტორიუმების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, რაც თავის მხრივ ხელს უშლის დამოუკიდებელი სწავლების მაღალ დონეზე მოწყობას. პარტიის ზოგიერთ რაიკომთან (ტყიბული, ჩოხატაური, ლაჩხუთი, აბაშა და სხვ.) კი გასულ სასწავლო წელს სულაც არ იყო შექმნილი ლექტორიუმი. საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები ზოგჯერ ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების საკითხებს, არ ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ საქმის ნამდვილ არსს და მიღიან ნაკლები წინააღმდეგობის გზით. ამით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთ ლექტორიუმში ლექციები იკითხება არა ომისათვის, რომ დახმარება გაეწიოს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს, არამედ ფორმალურად.

გასულ სასწავლო წელს პარტიის ცხაკაიას რაიკომთან არსებულ ლექტორიუმში გაიმართა ლექცია თემაზე „ვ. ი. ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. მოსალოდნელი იყო, რომ რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება უზრუნველყოფდა ლექციაზე პირველ რიგში იმ კომუნისტების დასწრებას, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ სკკპ ისტორიას, მაგრამ ასე არ მოხდა. აუდიტორიაში ნაუცბათევად შეკრიბეს დაწესებულებების მუშაკები, რომლებიც დამოუკიდებლად არ მუშაობდნენ წიგნზე.

ცხაკაიას რაიკომის ლექტორიუმის არასწორი პრაქტიკა, სამწუხაროდ, გამონაკლისი რადა. ბახარაძის რაიკომის ლექტორიუმში 1954 წლის ოქტომბერში წაკითხულ ლექციას „კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები“ „ორგანიზებულ“ წესით დაესწრეს ეკონომიაში, ამ საკითხზე ლექტორიუმში ლექციების ციკლის კითხვა. დამოუკიდებლად მომუშავეთა სურვილის გათვალისწინების შემდეგ საკითხი დგება ამის შესახებ, რომ შეევარჩიოთ ლექტორიუმში პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, კონკრეტული ეკონომიკის და მეცნიერების სხვა დარგებში წასაკითხი ლექციების ციკლის თემატიკა და მაღალკვალიფიციური ლექტორები. ლექტორთა კარგი შემადგენლობა, მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი, განსაზღვრავს მეცადინეობის მიმართულებას.

ამისათვის, რომ ლექტორიუმმა საპირო დახმარება გაუწიოს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებს და უპარტიო აქტივისტებს, აუცილებელია წავიკითხოთ ლექციების ისეთი ციკლი, რომელიც დაეხმარება მათ იმ საკითხების შეთვისებაში, რომელთა შესწავლა 1955-56 სასწავლო წელს აქვთ გათვალისწინებული. სასურველია წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს ჰქონდეთ ინდივიდუალური გეგმა. მათ შეუძლიათ თავიანთი ინდივიდუალური გეგმაში შეიტანონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა რამდენიმე ნაწარმოები, რომელთა შესწავლასაც გარკვეულ პერიოდში ფიქრობენ. ლექციების ციკლი უნდა ითვალისწინებდეს სწორედ მათ დასახმარებლად შესასწავლ მასალას. ამ მხრივ უდავოდ სიძნელეებსაც ეხვდებით, ვინაიდან ამა თუ იმ ლექციის თემა ზუსტად ვერ ვამოხატავს ყველას სურვილს, მაგრამ სწორედ აქ გვმართებს სერიოზული მუშაობა. საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებმა კარგად უნდა მოიფიქრონ ლექტორიუმის ლექციების თემატიკა. ლექტორიუმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა დახმარება გაუწიოს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო კადრებს მათს დამოუკიდებელ მუშაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერების საფუძვლების ღრმად შესწავლისათვის.

გარდა ამისა, რომ საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორიუმებში ეწყობა ლექციების ციკლი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, პარტიის აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების ლექტორთა ჯგუფები თავიანთი ლექტორთა ძალებით ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში აწყობენ ლექციების ციკლს პარტიის ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ფილოსოფიაში, კონკრეტულ ეკონომიკაში, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე და სხვ. ხომ არ ექნება ადგილი ამ შემთხვევაში პარალელიზმს? რასაკვირველია, არა! პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რომლებისთვისაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ძალებით 1955-1956 სასწავლო წელს მოეწყობა ლექციების ციკლი, ვთქვათ პოლიტიკურ ეკონომიაში, ამ საკითხზე ლექტორიუმში აღარ გაითვალისწინებენ ლექციების ციკლს თავიანთი ძალებით. ამ შემთხვევაში, როცა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორიუმები თავიანთი ძალებით ზოგიერთი ლექციის მომზადებას ვერ შეძლებენ, მათ დახმარებისათვის უნდა მიმართონ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებს სასწავლო წლის დაწყებამდე.

ლექტორიუმის გეგმიანი მუშაობის ერთ-ერთი პირობაა წარმოადგენს ლექციების ციკლის კალენდარული გეგმის შედგენა მთელი სასწავლო წლისათვის. კალენდარული გეგმის განსახორციელებლად უნდა შეევარჩიოთ და დავამტკიცოთ ლექტორები. ლექტორიუმში ლექციებს წაიკითხავენ როგორც ლექტორთა ჯგუფების წევრები, ისე თეორიულად კარგად მომზადებული წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები (აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ინჟინრები და სხვ.). მთელი მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დაწყებამდე, რომ ლექტორს ჰქონდეს დრო მაღალ თეორიულ დონეზე მოამზადოს ლექცია. ლექციების მაღალი ხარისხი პარტიული კომიტეტების ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს.

საჭიროა სასწავლო წლის დაწყების პირველი დღეებიდანვე მოეწყოს ლექციები და კონსულტაციები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად. ამ მხრივ დიდი ამოცანა აქვს დაკისრებული ლექტორიუმებს, რომელთა მუშაობა შეუფერხებლად უნდა მიმდინარეობდეს. აუცილებელია მათ დროულად უზრუნველყონ მსმენელები ლექციებით მოწყობის კალენდარული გეგმებით. სერიოზულ მუშაობას მოითხოვს სასწავლო წლის დაწყებამდე ლექტორებისა და კონსულტანტების, თეორიული სემინარების ხელმძღვანელების შერჩევა და დამტკიცება.

ასეთი წესით ლექტორიუმები მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალ რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან. მაგალითად, როსტოვის საქალაქო კომიტეტის ლექტორიუმში გასულ წელს იკითხებოდა ციკლი ლექციებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში (ალექსეევ ოქტომბრამდელი და ოქტომბრის შემდგომი პერიოდი), პოლიტიკურ ეკონომიაში („კაპიტალიზმი“ და „სოციალიზმი“ ცალცალკე), მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაზე და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაზე. პარტიული ბიბლიოთეკა ამოუშავებდა რეკომენდებულ ლიტერატურის სანიმუშო სიებს თემების მიხედვით. როსტოვის საქალაქო კომიტეტის ლექტორიუმში ლექციები ამართება ეპიზოდურ თემებზეც.

ასეთივე წესით მუშაობს მრავალი ლექტორიუმი საქართველოს კომპარტიის მთელ რიგ რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან (თბილისი, რუსთავი, ამბროლაური და სხვ.).

პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები სასწავლო წლის დაწყებამდე ადგენენ კალენდარულ გეგმას, რომელსაც ამტკიცებს რაიკომის ან საქალაქო კომიტეტის ბიურო. ამ გეგმით მიმდინარეობს ლექტორიუმის მუშაობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გეგმის გარეშე ლექტორიუმში არ შეიძლებოდეს ლექციების წაკითხვა.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სანამუშოდ უნდა მოაწყონ ლექტორიუმებში როგორც კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ლექციების კითხვა, ისე იმ ლექციების კითხვა, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის სადღეისო ამოცანებისადმია მიძღვნილი. მაგრამ ამ ლექციების კითხვამ კალენდარული გეგმა არ უნდა დაარღვიოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოპულარული ლექციების მოწყობას ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ლექცია პოპულარული უნდა იყოს არა მარტო თემატიკის მიხედვით, არამედ შინაარსითაც, განსაკუთრებით გადმცემის ფორმით. მაგრამ პოპულარული ლექცია გამარტივებული, გაუბრალოებული ლექცია არ უნდა იყოს.

საჭიროა იქნება პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ კომუნისტებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ, მოაწყონ კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ საკითხებზე. საყურადღებო ინფორმაციებმა მარტო პარტიული ბიბლიოთეკით კი არ უნდა შეიზღუდოთ. აუცილებელია საკონსულტაციო მუშაობას ეწევოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციებიც.

ლექტორიუმი პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არის შექმნილი, და ამდენად იგი დახმარებასთან ერთად კონტროლის როლსაც უნდა ასრულებდეს. საჭიროა ლექტორიუმში იცოდნენ, ესწრებიან თუ არა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეები მათ დასახმარებლად მოწყობილ ლექციებს. ამიტომ ლექციებზე დასწრების აღრიცხვა ლექტორიუმებში სანიმუშოდ უნდა მოეწყოს.

პარტიული განათლების სისტემაში 1955-1956 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება პარტიული კომიტეტების მუშაკებისაგან, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს საქმის ღრმა ცოდნას და მუშაობის დიდ უნარს, მთელი ჩვენი შესაძლებლობების გამოყენებას.

ვ. რეხვიაშვილი,
ვ. გურგენიძე,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შტატის ლექტორები.

წერილები რედაქციას

ეს დღეები არ დაგვავიწყდება

საკავშირო პროფსაბჭოს ლიბანის სანატორიუმში შექმნილია კულტურული დასვენების ყველა პირობა. კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი ხორციელდება სანატორიუმის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

31 აგვისტოს დამსვენებელთა ჯგუფმა მოაწყო ექსკურსია ქალაქ ბორჯომსა და მის მიდამოებში.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია დამსვენებლებში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დათვალიერებამ. აქ ისინი გაეცნენ ბორჯომის რაიონის ტერიტორიის განლაგების გეგმას, მის მცენარეულობას.

ქიმიურ მრეწველობაში ბაკურიანის ანდეზიტის მნიშვნელობის შესახებ ექსკურსანტებს უამბო მუზეუმის ექსკურსიამძღოლმა ლ. ლაზარიაშვილმა. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს მუზეუმის ცხოველთა სამყაროს განყოფილება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბაკურიანის მელამ, რომელიც გამოყვანილია ბაკურიანის ნადირთმოსაშენებელ საბჭოთა მეურნეობაში.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დიდი ინტერესით ათვალიერებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მშრომელები — ლიკანის, სურამის, ცემის, კეჩხოვის სანატორიუმების დამსვენებლები, ტურისტები. წელს მუზეუმი ინახულა დაახლოებით 10.000 კაცმა.

საკავშირო პროფსაბჭოს ლიბანის სანატორიუმის დამსვენებელთათვის საინტერესო ექსკურსია მზადდება დიდი ლენინის თანამებრძოლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სამშობლო ქალაქ გორში.

ნ. კოჩეშევი,
საკავშირო პროფსაბჭოს ლიბანის სანატორიუმის დამსვენებელი, ბელორუსიის სსრ ლენინუკანსკის კულტურის სახლის დირექტორი.

მეგი ყურადღება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს

ხუთიოდე წლის წინათ ჯიხასკარის (ზუგდიდის რაიონი) სასოფლო საბჭოს მცხოვრებლები ამაყობდნენ კარგად მოწყობილი კლუბით, კულტურულად ერთობოდნენ აქ მოწყობილი საღამოებითა და კინოსეანსებით. მაგრამ უყურადღებობის შედეგად კლუბის შენობა დაანგარეს და დაინგრა.

კინოსეანსები და საღამოები ახლა იშვიათად ეწყობა, ისიც სკოლის ან კოლმეურნეობის კანტორის შენობაში.

უარეს მდგომარეობაშია ამავე სოფლის ფოსტა, რომელიც აფთიაქის შენობაშია შეხიზნული. აქ სახურავის უვარგისობის გამო წვიმის წყალი ჩადოდის და აფუჭებს წერილებს, ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა საფოსტო გზავნილებს.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ჯიხასკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომი და კოლმეურნეობის გამგეობა?

ბ. ალშიბაია,
საფოსტო გზავნილებათა დახარისხების საამქროს გამგე.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

რვა თვეში — 205 ათასი მანეთი ეკონომია

გასული წლის მეორე ნახევარში ადმინისტრაციამ მომანდო გამომჭრელთა ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელობა. ეს დიდი მოვალეობა იყო ჩემს ცხოვრებაში, რადგან საამქროში სულ რაღაც ორი წლის მოსული ვიყავი პირდაპირ საფაბრიკო-საქარხნო სკოლიდან და მუშაობის არც თუ ისე დიდი გამოცდილება მქონდა.

ე. სუპრიაგა

უხელმძღვანელო ბრიგადას და ასწავლო სხვებს, როცა თვითონაც ბევრი გაქვს შესასწავლი, — ოღლი როდია. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, გადავწყვიტე ახლის გავცნობოდი წარმოების ნოვატორთა მეთოდებს. დიდი დახმარება გამიწია ფეხსაცმლის საპირის მოწინავე გამომჭრელმა მ. ანირხანოვმა, რომელმაც გულღიად გამიზიარა თავისი გამოცდილება, თუ როგორ აღწევდა შრომის მაღალ ნაყოფიერებას, მასალის მოჭიმრნობის ხარჯვას. ბრიგადის წევრებმაც გაიარეს საამქროსი სპეციალურად შექმნილი მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლა, რამაც დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენს მუშაობაში.

მიმდინარე წელს ზედიზედ მოვიპოვეთ საწარმოო გამარჯვებები. პირველ კვარტალში ბრიგადამ გეგმა 113,8 პროცენტით გაანადგა და მასალის 4 პროცენტი ეკონომია მისცა, მეორე კვარტალში ამდენივე საპირე ტყავი დაზოგა და გეგმა 129,8 პროცენტით შეასრულა.

გამომჭრელი საამქროს მთელ კოლექტივთან ერთად ჩვენც ჩავებით პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადიდებული ვალდებულებები ვიკისრეთ. ბრიგადის ვალდებულებები უმთავრესად ითვალისწინებს მასალის მოჭერნობით ხარჯვას. ამ მხრივ უკვე მოვიპოვეთ თვალსაჩინო წარმატებები. იცლისში ჩვენ გაწეიეთ 5,2 პროცენტი მასალის ეკონომია, ხოლო აგვისტოში დავზოგეთ 72.202 კვადრატული დეციმეტრი ტყავი, რაც დამუშავებული მასალის 10,7 პროცენტს უდრის.

ბრიგადის მოწინავე გამომჭრელები გამოშუშავების ნორმებს 150-170 პროცენტით ასრულებენ. ამასთან მასალის დიდ ეკონომიასაც იძლევიან. მაგალითად, აგვისტოში ს. ოსმანოვმ გეგმა 171,7 პროცენტით გაანადგა და 11,2 პროცენტი ტყავი დაზოგა, პ. მედვედევმ — 12,2 პროცენტი. უკეთესი წარმატება მოიპოვა ე. ზიმოგლიადოვმ, რომელმაც 11.936 კვადრატული დეციმეტრი ტყავი დაზოგა და საამქროს ერთ თვეში 12 ათასამდე მანეთის ეკონომია მისცა. არც მე მაქვს ნაკლები შედეგები. აგვისტოში, მაგალითად, 12,5 პროცენტი ტყავი დავზოგე.

მასალის მოჭიმრნობით ხარჯვა ისე, რომ შრომის ნაყოფიერებაც გადიდო, სერიოზულ, მოფიქრებულ მუშაობას მოითხოვს. ჩვენს ბრიგადას ამის მიღიდარი გამოცდილება აქვს, რის გაცნობაც შეიძლება ერთ-ერთი ჩვენგანის მუშაობის მაგალითზე.

კერძოდ, მე ჩვეულებრივად ცვლაში ვცხადდები 10-15 წუთით ადრე. ეს დრო მეჭირდება მანქანის დასათვალიერებლად და დასაზეთად. რაიმე უწესივრობის აღმოჩენისთანავე ვიღებ ზომებს, ვიწვევ მექანიკოსს მანქანის წესრიგზე მოსაყვანად და ამით თავიდან ვიცილებ მის შესაძლო გაჩერებას.

მუშაობის დაწყებამდე დრო კიდევ მრჩება იმისათვის, რომ მივიღო მასალა. ეს მასალა მყოფნის შესვენებამდე. საპირე ტყავს წინასწარ გულდასმით ვათვალიერებ, ვაწყობ ცალცალკე ფერების მიხედვით, რათა მუშაობის პროცესში ტყავის გადარჩევაზე უსარგებლოდ არ დავკარგო დრო.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ტყავზე დეფექტების წინასწარ აღნიშვნას. დეფექტებს მოვიხაზავ ცარცით. გამომჭრისას ამ ადგილებს ვცდილ ვუვლი. ამით, ჯერ-ერთი, დროს ვიგებ, თავიდან ვიცილებ ჭეშმეტ ჭრას, მეორეც, იშვიათად თუ გავუშვებ უხარისხო მზა გამომჭრილ მასალას.

შრომის ნაყოფიერების გადიდება აუცილებლად დამოკიდებულია ამაზეც, ბასრია თუ არა ტყავის მჭრელი ტკიფრები. ჩლუნგი ტკიფრები მანქანის ორმაგ დარტყმას მოითხოვს, ამასთან ახიანებს ტყავს, ეს კი ზედმეტი მასალის ხარჯვას იწვევს. ამიტომ მუშაობის დაწყებამდე ყოველთვის ვამოწმებ ტკიფრებს, თუ ბლაგვია, ვალესინებ.

ტკიფრები ჩვეულებრივად მილოდია დაზგაზე მანქანის მარცხნივ, რომ საპირობისამგრ თავისუფალი მარცხენა ხელით დანვალაგო ტყავზე, რომელსაც ამ დროს მარჯვენით ვასწორებ. ჭრას ვიწყებ ტყავის ქვედა მხრიდან. წინასწარ ვათვალიერებ საპირე მასალას, თვალით ვზომავ ფეხსაცმლის ზედაპირის სად რომელი ნაწილის გამოკრა შეიძლება. პირველად უმთავრესად დიდ ნაწილებს ვჭრი ისეთნაირად, რომ დარჩენილ ადგილებში შეიძლებოდეს უფრო პატარა ნაწილების — ფეხსაცმლის საკავშის, კოჭფარის, ცხვირის, ენაკისა და უკანა თასმის გამოკრა. ასეთი მეთოდით ვაღწევ იმას, რომ ტკიფრებს შორის არ დარჩეს თავისუფალი ადგილები. დანაკარგები თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია, თუ ზხედველობაში არ მივიღებთ ძაფისებრ ანაჭრებს, რომლებიც საერთოდ არაფერში გამოდგება.

დაახლოებით ასევე მუშაობენ ბრიგადის სხვა წევრებიც, რაც საშუალებას გვაძლევს დიდძალი მასალის ეკონომია გავწიოთ. მიმდინარე წლის რვა თვეში ბრიგადამ ამ გზით ფაბრიკას 205 ათასი მანეთი დაუზოგა.

ე. სუპრიაგა,
ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის გამომჭრელთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

5 მილიონი აგური გეგმის გადამეტებით

სამტრედია. (საკ. კორ.). სამტრედიის აგურის ქარხნის კოლექტივმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა 15 აგვისტოსათვის შეასრულა. გამოშვებულია 57.300 ათასი აგური ნაცვლად 57.000-სა.

მეაგურეებმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5 მილიონი აგური. ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში 20 სექტემბრისათვის უკვე გამოშვებულია 1.100 ათასი აგური.

დავით გურამიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავს. კლუბებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში ეწყობა ამ თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში დიდი მზადებაა სახელოვანი პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად. აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები იყვნენ მოსკოვსა და ლენინგრადში დ. გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ისტორიული მასალების გამოსავლინებლად. შეგროვებულმა მასალამ ნათელი მოჰფინა დღემდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ზოგიერთ საკითხს. ინსტიტუტმა გამოსაცემად მოამზადა დ. გურამიშვილის სრული აკადემიური კრებული. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა პროფესორ მ. ჩიქოვანის მონოგრაფია „დ. გურამიშვილი და ხალხური პოეზია“.

უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა დოკუმენტ ს. ყუბანეიშვილის ნარკვევი „დ. გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში.“ ამ ნაშრომს დართული აქვს დ. გურამიშვილის ცხოვრებასთან დაკავშირებული 30 ახალი დოკუმენტი.

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა პროფესორ ა. ბარამიძის პოპულარული ნარკვევი დ. გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო გამოფენა. გამოფენის სამ სტენდზე წარმოდგენილია დიდი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, მისი რჩეული ნაწერები ქართულ და რუსულ ენებზე, ლიტერატურა დ. გურამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

დიდი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ეწყობა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

გამოფენას ექნება განყოფილებები „ქართლი მე-18 საუკუნეში“, „დ. გურამიშვილი ლამისყანასა და საგურამოში“, „მოსკოვის ქართული კოლონია“, „დ. გურამიშვილი ვახტანგ მეფის კარზე“, „რუსეთთან საქართველოს შეერთება“, „დ. გურამიშვილი უკრაინაში“, „დ. გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში“, „დ. გურამიშვილი და ზეპირსიტყვიერება“ და სხვ.

ლიტერატურულ მასალებთან ერთად წარმოდგენილი იქნება გურამიშვილის ცხოვრების ამსახველი სურათები, ავტოგრაფები, დ. გურამიშვილის მიერ შესრულებული წისქვილის მაკეტი, აგრეთვე ახლად აღმოჩენილი მასალები ქართულ ჰუსართა პოლკში დ. გურამიშვილის ყოფნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ დარბაზობა გამართა ბელგიის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად

22 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ დარბაზობა გამართა ბელგიის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ დელეგაციის წევრები და მისი მეთაური დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ჯ. ჰიუსმანსი.

დარბაზობას დაესწრო ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. ლორიდანი, რომელიც დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენელნი.

დარბაზობის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს მ. დ. ჩუბინიძემ და ჯ. ჰიუსმანსმა. (საქდესი).

ბელგიის პარლამენტის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში მყოფი ბელგიის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაუროს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ჯ. ჰიუსმანსი, გუშინ, 22 სექტემბერს, თბილისიდან რუსთავს გაემგზავრა. აქ პარლამენტის დეპუტატები რამდენიმე საათის განმავლობაში ეცნობოდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას. მათი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო უახლესმა მოწყობილობამ, რომლითაც აღჭურვილია საწარმოს საამქროები. დიდი ინტერესით ადევნებდნენ ისინი თვალყურს ბლუმინგის — ნოვოკრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ შექმნილი პირველი ომისშემდგომი ბლუმინგის მუშაობას. დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ აგრეთვე მეტალურგთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მათ გაიგეს, რომ რუსთავში, რომელიც დაახლოებით ათი წლის წინათ წარმოიშვა, აგებულია 200 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გახსნილია 16 სკოლა, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საკონსულტაციო პუნქტი, თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილება და მთელი რიგი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

დაათვალიერა რა ქარხანა, სენატორმა ე. დე ვინტერმა, პროფესიით სამთო ინჟინერმა, თქვა:

— ქარხანაში ჩვენ ვნახეთ თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი ნიმუშები. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მის საამქროებს აქვთ საუცხოო ვენტილაცია. ეს უზრუნველყოფს მუშების ნაყოფიერ შრომას და მოწმობს, რომ მათი ჯანმრთელობისათვის დიდად ზრუნავენ.

სენატორმა ა. როლენმა, ილაპარაკა რა თავის შთაბეჭდილებებზე, განაცხადა:

— როცა საბჭოთა საქართველოში მოვდიოდით, ჩვენ ვიცოდით, რომ აქ მოჰყავთ ყურძენი, ხილი, ამზადებენ ღვინოს. საქართველოს გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ეს არის განვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რესპუბლიკა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაციამ ინახულა ქალაქის ერთ-ერთი სამრეწველო რაიონი ავჭალა, სადაც აგებულია დიდი ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა, ჩაისსაწონი ფაბრიკა, კონიაკის ქარხანა, შამპანური ღვინოების ქარხანა და სხვა საწარმოები. სტუმრები გაეცნენ შამპანური ღვინოების წარმოებას.

ბელგიის პარლამენტის დეპუტატები იყვნენ ქალაქ მცხეთაში, რომელიც განთქმულია ძველი არქიტექტურული ძეგლებით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობას. ბავშვებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს მათ. სასახლის დირექტორმა შ. ზ. ბერიანინიძემ უამბო, რომ სასახლე მომსახურებას უწევს 7 ათას მოსწავლეს, რომლებიც მეცადინეობენ 400 სხვადასხვა წრეში. ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა სტუმრებს უჩვენეს თავიანთი ოსტატობა. ბელგიის პარლამენტარებმა ინახულეს აგრეთვე საქართველოს სსრ ხელოვნებათა სახელმწიფო მუზეუმი. (საქდესი).

შევქმნათ კარგი სახელმძღვანელოები მსუბუქი მრეწველობის სპეციალობათათვის

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დიდი ხანია ამზადებს და უშვებს სპეციალისტებს უმაღლესი ტექნიკური განათლებით საფეიქრო, სამკერვალო და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობისათვის. ამ სპეციალისტთა მომზადება წარმოებს როგორც სტაციონარული, ისე დაუსწრებელი განყოფილების ხაზით.

ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე დაისახა გადაუდებელი ამოცანა — უზრუნველყოს სტუდენტობა ქართულ ენაზე გამოცემული, თეორიულად გამართული, მეცნიერულად დამუშავებული სახელმძღვანელოებით წამყვან, ძირითად დისციპლინებში. სამწუხაროდ, ამ მხრივ ცოტაა გაკეთებული, ხოლო ის, რაც გაკეთდა, არადამაკმაყოფილებელია.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაკვეთით მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოსცა სამი სახელმძღვანელო, ორი მათგანი საფეიქრო და ერთი ტყავ-ფეხსაცმლის სპეციალობის განხრით.

აკმაყოფილებენ თუ არა ეს სახელმძღვანელოები წაყენებულ მოთხოვნებს?

ავიღოთ, მაგალითად, ვ. ი. ფხალაძის წიგნი „სამაუდე დართვა“, რომელიც განკუთვნილია საფეიქრო განხრის სტუდენტებისათვის როგორც სახელმძღვანელო ძირითად სპეციალურ დისციპლინაში. ამ სახელმძღვანელოს თეორიული და მეცნიერული დონე დაბალია და იგი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც უყენებენ სახელმძღვანელოებს უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

წიგნში მოცემული არ არის დართვის პროცესის ცალკეული ელემენტების გრაფიკული გამოხატულება. არაფერი არ არის ნათქვამი დართვის ძირითადი პროცესების — გაწევისა და შეგრეხის თეორიული საფუძვლების შესახებ. ასევე არაფერია თქმული ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და ცალკეული მეცნიერი მუშაკების მიღწევებზე გაწევის თეორიის დარგში. წიგნი არ აცნობს მკითხველს დართვის სისტემებსა და გეგმებს. მასში ერთი მესამედი დათმობილი აქვს ისეთი თემების განხილვას (ხელლეულის დახასიათება, მისი პირველადი დამუშავება), რომლებსაც უშუალო კავშირი არა აქვს დართვის თეორიულ კურსთან და წარმოადგენს ცალკე საგანს.

მეორე წიგნი „ქსოვილის ამოცანათა კრებული“, რომლის ავტორები არიან ვ. ს. გრიგორიევი და ნ. ვ. ცაგარელი და რომელიც გამოცემულია მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის საფეიქრო განხრის სტუდენტებისათვის, სინამდვილეში წარმოადგენს ცნობარს. მასში თავმოყრილია მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა საანგარიშო ფორმულები. გაუგებარია, რით იყო ნაკარნახევი ასეთი „სახელმძღვანელოს“ გამოცემა.

მესამე სახელმძღვანელო — ი. მუჯირის „მასალათმცოდნეობა“, ნაწილი I, რომელიც შედგენილია უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის ტყავ-ფეხსაცმლის სპეციალობის პროგრამის მიხედვით, ხასიათდება მრავალი სერიოზული ნაკლით. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ იგი დაიწუნა და უარყო როგორც სახელმძღვანელო მისი გამოცემის შემდეგ.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ამჟამად არ არსებობს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფილის არც ერთი ისეთი სპეციალური დისციპლინა, რომელშიც რუსულ ენაზე გამოცემული არ იყოს ფუნდამენტალური, მეცნიერულად დასაბუთებული, თეორიულად მაღალ დონეზე დამუშავებული, სათანადო ორგანოების მიერ მოწონებული და დამტკიცებული სახელმძღვანელოები.

ამიტომ სავსებით ბუნებრივი იქნება დავსვათ კითხვა: რატომ გაურბის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტოქკოვან მასალათა მექანიკური ტექნოლოგიის კათედრა ყოველმხრივ გამართლებული სახელმძღვანელოების თარგმნას რუსულიდან ქართულ ენაზე, თუ ქართულ ენაზე ორიგინალური ნაშრომების შედგენა და გამოცემა კათედრამ ჯერჯერობით ვერ შეძლო? ხომ შეიძლებოდა იმ თანხით, რაც ზემოთ ჩასახელებული წიგნების გამოცემაზე დახარჯა, რუსულიდან ქართულად თარგმნილიყო და დროულად გამოცემულიყო მეტი და უფრო სრულფასოვანი სახელმძღვანელოები?

ვფიქრობთ, ამ საკითხებით დაინტერესდება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექცია და სათანადო წესრიგს დაამყარებს ამ საქმეში.

ინჟინერი ა. მამალაძე.

რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება კარდიოლოგიაში

თანამედროვე მიღწევებმა ატომური ბირთვის ფიზიკური თვისებების შესწავლის საქმეში შესაძლებელი გახადა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება და ფართო პერსპექტივები დასახა რადიაქტიური ელემენტების დანერგვისათვის ტექნიკის, მედიცინისა და ბიოლოგიის სხვადასხვა დარგში. ფრიად დამახასიათებელია, რომ სწორედ ჩვენს ქვეყანაში ამუშავდა ატომური ენერგიის პირველი ელექტროსადგური.

ამ ცოტა ხნის წინათ ჟენევაში შემდგარმა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურმა კონფერენციამ ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების შესახებ გამოამჟღავნა ყველა პროგრესული ფაქტი. მეცნიერის მისწრაფება გამოიყენონ მეცნიერების ეს დიდი მიღწევა ხალხთა კეთილდღეობისათვის.

რადიაქტიურმა იზოტოპებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს ბიოლოგიასა და მედიცინაში. მათ საშუალება მისცეს მკვლევარებს გაეშუქებინათ ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესი, რომელიც აქამდე მიუწვდომელი იყო. მეორე მხრივ ეს მეთოდი ორგანიზმზე სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერების მოქმედების მექანიზმების დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან ერთად თვით რადიაქტიური იზოტოპებიც მკურნალობის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენენ.

რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებამ უკვე თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო როგორც სხვადასხვა ბიოლოგიური პროცესის შესწავლის, ისე დაავადებათა მკურნალობის საქმეში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტში 1953 წლიდან ჩამოყალიბდა რადიაქტიური იზოტოპების ლაბორატორია. აღნიშნული ლაბორატორიის წინაშე თავიდანვე იდგა ამოცანა: რადიაქტიური იზოტოპების საშუალებით გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პათომექანიზმების დაზუსტება. ამ მიზნით ინსტიტუტის ლაბორატორიაში იხმარება ფოსფორის, იოდისა და ვოგირდის რადიაქტიური იზოტოპები.

რამდენადაც ფოსფოროვანი შენაერთები წარმოადგენენ ნერვული ქსოვილის ცხოველმყოფელობის ძირითად ენერგეტიკულ წყაროს, დიდ ინტერესს წარმოადგენდა შეგვესწავლა ფოსფოროვანი შენაერთების ცვლა ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, მაგალითად ჰიპერტონიული დაავადების დროს.

ჰიპერტონიული დაავადების სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელებში (პირობითრეფლექსური, რენული და სხვა) ნახული იყო, რომ თავის ტვინში ფოსფოროვანი შენაერთების ცვლა ირღვევა ექსპერიმენტული ჰიპერტენზიის უკვე ადრეულ სტადიაში. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდეთ ჰიპერტონიის პრობლემას, სახელდობრ მატერიალური საფუძველი გამოვუნახოთ შეხედულებას, რომ ჰიპერტონიული დაავადების წარმოშობასა და განვითარებაში წამყვანი როლი ცენტრალურ ნერვულ სისტემას ეკუთვნის.

დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე რადიაქტიური იზოტოპების საშუალებით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების, კერძოდ — ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შესწავლა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს. აქამდე მიღებული მეთოდები არ იძლეოდნენ სწორ (გარკვეულ) წარმოდგენას ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ცვლილებების შესახებ, მაშინ როდესაც რადიაქტიური იოდის გამოყენება ყველაზე მარტივი და ზუსტი მეთოდი აღმოჩნდა.

რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებამ საშუალება მისცა მკვლევარებს შეესწავლათ უმთავრესად ნივთიერებათა ფიზიოლოგიური ცვლის პროცესები გულის კუნთში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი იყენებს რადიაქტიურ იზოტოპებს არა მარტო საღი, არამედ უმთავრესად დაავადებული გულის კუნთის (კერძოდ, გადაღლილი გულის) ფუნქციური უკმარისობის ამოცნობის დროს.

გარდა ამისა, ჩვენსავე ლაბორატორიაში რადიაქტიური ფოსფორის საშუალებით შეისწავლება გულში ნივთიერებათა ცვლა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ექსპერიმენტულად გამოწვეული ნაკლოვანების დროს. აღმოჩნდა, რომ გულის კუნთში ადგილი აქვს ბიოქიმიური პროცესების დარღვევას, რაც წარმოადგენს გულის მუშაობის მოშლის უშუალო მიზეზს, მაშინ როდესაც გულის ანატომიურ სტრუქტურაში ჯერ კიდევ არ არის არავითარი ცვლილებები.

ბოლოს, ჩვენი ლაბორატორიის წინაშე დასახულია ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა — სახელდობრ, რადიაქტიური იზოტოპების საშუალებით გულ-სისხლძარღვთა სხვადასხვა დაავადების დროს ჰემოდინამიკური ძვრების შესწავლა სისხლის მიმოქცევის მოშლის ადრეულ ან ფარულ (ლატენტურ) პერიოდში, როდესაც სისხლის ცირკულაციის მოშლა ჯერ კიდევ არ არის კლინიკურად გამოვლინებული.

ნათქვამიდან სავსებით ცხადია რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შინაგანი მედიცინის, კერძოდ კარდიოლოგიის დარგში. იგი გვაძლევს გულ-სისხლძარღვთა ფუნქციური მოშლილობის პათომექანიზმების დაზუსტებისა და ფუნქციური მოშლილობის სრულიად ადრეული და ფარული ფორმების გამოვლინების, მაშასადამე, ეფექტური (პათოგენეზური) მკურნალობის და, რაც მთავარია, დაავადების პროფილაქტიკის საშუალებას.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტში. სურათზე: ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი, მეცნიერი მუშაკები ნ. ქურდიანი და გ. ახმეტელი აწარმოებენ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გამოკვლევას ჰიპერტონიული დაავადების დროს რადიაქტიური იოდის გამოყენებით.

ფოტო ი. ედგარაშვილისა.

პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი,
კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა, რომელმაც სიტყვა აიღო საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლის შემდეგ, ყოველგვარი არგუმენტის მოუყვანლად წინადადება შეიტანა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხი არ განიხილოს გენერალური ასამბლეის X სესიამ. სრულიად უსაფუძვლოდ მან დაიმოწმა პროცედურის წესები და ითხოვა, რომ მის წინადადებას პირველს ეყოთოს კენჭი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ბინძური ცილისწამებით გამოვიდა ჩანკაიშელი.

ინგლისის წარმომადგენელმა ნატინგმა მხარი დაუჭირა შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებას. თუმცა, თქვა მან, ინგლისი ცნობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინეთის მთავრობად, მაგრამ ინგლისის მთავრობას მიაჩნია, რომ ამ საკითხის გადასაჭრელად დრო ჯერ არ დამდგარა.

სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ მხარი დაუჭირეს ინდოეთის, პოლონეთის, ბირმის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და ინდონეზიის წარმომადგენლებმა.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ნაწილობრივ ყურადღება მიაქცია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წარსული სესიების გადაწყვეტილებანი — არ განეხილა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი — სრულიადაც არ უწყობენენ ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმატებით მუშაობას და, პირიქით, ბევრ შემთხვევაში აბრკოლებდნენ მის საქმიანობას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, თქვა შემდეგ ნაშოკოსკიმ, ლოგიკის უქონლობა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში ამ საკითხზე. ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებას აწარმოებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ჟენევაში, ხოლო, მეორე მხრივ უარს ამბობენ განიხილონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი და არაფრით არ ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას.

ახლანდელ სესიაზე, თქვა დასასრულ პოლონელის წარმომადგენელმა, დასმულია ბევრი საკითხი, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთს ეხება და რომელთა გადაჭრა, ისევე როგორც სხვა საკითხების გადაჭრა, ჩინეთის კანონიერ წარმომადგენელთა მონაწილეობის მიუღებლად შეუძლებელია.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კრიშნა მენონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა, ასურულს რა თავის ვალდებულებებს ინდოეთისა და ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე აზიის ქვეყნების ხალხთა წინაშე, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობის წინაშე, მოითხოვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. არ შეიძლება იყოს რაიმე დავა, თქვა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „მიღების“ შესახებ. ჩინეთი არის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამაარსებელი სახელმწიფო და ახლა საჭიროა მოესპოთ დაბრკოლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი კანონიერი უფლებების აღდგენის გზაზე.

ინდოეთის დელეგაციას მიაჩნია, განაგრძო კ. მენონმა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის თანახმად ჩინეთის ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის წარმომადგენელია.

ჩემს მთავრობას, თქვა დასასრულ კ. მენონმა, თავის მოვალეობად მიაჩნია მოითხოვოს ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღიარება გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში და ხმას მისცემს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ.

ბირმის დელეგაციის მეთაურმა ბარინგტონმა განაცხადა, რომ არის ჩინეთის მხოლოდ ერთი მთავრობა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა. მხოლოდ ამ მთავრობას, და არავითარ სხვა მთავრობას, თქვა მან, უფლება აქვს დაიკავოს ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ბარინგტონმა განაცხადა, რომ ბირმის დელეგაცია მხარს უჭერს წინადადებას იმის შესახებ, რომ ვაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი მიეცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს და წინააღმდეგია იმ წინადადებებისა, რომლებიც ამას ხელს უშლიან.

შემდეგ მეორედ აიღო სიტყვა ვ. მ. მოლოტოვმა. მხედველობაში ჰქონდა რა ჩანკაიშელის გამოსვლა, მან თქვა: მე არ მჭირდება ვილაპარაკო იმის გამოსვლაზე, ვინც არავის წარმომადგენელი არ არის გენერალურ ასამბლეაში, ვფიქრობ, მის სიტყვებს სერიოზულად არავინ არ იღებს. შეიძლება მხოლოდ გაგვაოცოს ჟენერალური ასამბლეის მონაწილეთა მოთმინებამ, რომ მას ჯერ კიდევ უსმენენ და ადგილს აძლევენ ამ ტრიბუნებზე.

მე სრულიად არ მჭირდება დავიცვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და მისი სახალხო მთავრობა. მთელი მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის ცხადია, რომ ეს არის დიდი სახელმწიფო, რომელიც აერთიანებს მთელ ჩინელ ხალხს, ეს არის ჩინეთის ის მთავრობა, რომელსაც პატივს სცემენ მთელ მსოფლიოში. ეს ჩანს იქიდან, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მხარს უჭერს ჩინეთის ექვსასმილიონიანი მოსახლეობა, რომელმაც იცის, რომ ეს მისი მთავრობაა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობა უკვე გაარკვია ბევრმა სახელმწიფომ, და გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ ამის შესახებ როგორც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის გამოსვლის მიხედვით, ისე იმ ქვეყნების წარმომადგენლების ვამოსვლის მიხედვით, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბანდუნგის კონფერენციაში მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის 29 სახელმწიფო და 28 სახელმწიფომ საერთო ენა გამონახა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. აზიისა და აფრიკის თითქმის ყველა სახელმწიფოს მთავრობები ერთსულოვნად მუშაობდნენ და აღფრთოვანებული იყვნენ ერთიდამავე მისწრაფებით — დაეცვათ ხალხთა უფლებები და დამოუკიდებლობა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებით. ეს რაიმეს ნიშნავს.

ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ იმ სახელმწიფოთა მოსახლეობა, რომლებმაც უკვე იცნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და დამყარეს მასთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა, დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს. იმათ, ვინც ვერ ამჩნევს ამას ან ვერრდს უკლის, თვითონ უნდა გაითვალისწინონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას საერთაშორისო ურთიერთობაში.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა თქვა:

ახლა იმ წინადადების შესახებ, რომელიც აქ შემოიტანა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ. ბ-ნმა ლოჯმა ამასთან დაიმოწმა გენერალური ასამბლეის პროცედურის 93-ე წესი. სწორედ ამ წესის შესაბამისად კენჭი უნდა ეყაროს გენერალურ ასამბლეაში შემოტანილ წინადადებებს იმ რიგით, როგორითაც ისინი შემოვიდა ასამბლეის განსახილველად, თუ არ იქნება მიღებული გენერალური ასამბლეის სხვა გადაწყვეტილება.

არის თუ არა საფუძველი მივიღოთ სხვა გადაწყვეტილება, გარდა გენერალური ასამბლეის პროცედურის 93-ე წესით დადგენილისა? მე მგონია, სწორი არ იქნება, რომ შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადება განვიხილოთ როგორც საპროცედურო წინადადება, ჩვენ ამის საფუძველი არა გვაქვს. იმ წინადადების მიღებით, რომელიც შეერთებული შტატების დელეგაციამ შემოიტანა, ჩვენ გადავწყვეტთ არა საპროცედურო საკითხს, არამედ არსებით საკითხს. ჩვენ კვლავ ვერ ვადავწყვეტთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხს. ხოლო თუ შემოტანილ წინადადებას არსებითად განვიხილავთ, საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ საჭიროა, 93-ე წესის დაცვით, კენჭი ვუყაროთ იმ რიგით, როგორითაც შემოტანილია ეს წინადადებანი. ამ წესის წინააღმდეგ არავითარი მოტივი აქ არ მოუყვანიათ.

თავმჯდომარე ლუნსი კენჭს უყრის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის წინადადებას ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის რეზოლუციისათვის პრიორიტეტის მინიჭების შესახებ, რეზოლუციისა, რომელიც მოითხოვს, რომ გენერალური ასამბლეის X სესიამ არ განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხი.

მას შემდეგ, რაც პროცედურის წესების დარღვევით ასამბლეის უმრავლესობამ მოიწონა ეს გადაწყვეტილება, ლუნსმა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შესახებ. კომუნიკაში აღნიშნულია, რომ ხუნტასა და აჯანყებულთა ხელმძღვანელობას შორის დაიდო საზავო შეთანხმება და რომ არგენტინის დროებით პრეზიდენტად დანიშნულია გენერალი ედუარდო ლონარდი.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი თავის ცნობაში აღნიშნავს, რომ გენერალი ლონარდი არგენტინის წარმომადგენელი იყო თავდაცვის ეგრეთწოდებულ საამერიკათაშორისო საბჭოში, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელია ვაშინგტონი.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, რომ ხუნტამ გამოაქვეყნა კომუნიკე აჯანყებულთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შესახებ. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ხუნტასა და აჯანყებულთა ხელმძღვანელობას შორის დაიდო საზავო შეთანხმება და რომ არგენტინის დროებით პრეზიდენტად დანიშნულია გენერალი ედუარდო ლონარდი.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, რომ ხუნტამ გამოაქვეყნა კომუნიკე აჯანყებულთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შესახებ. ამერიკელ პრესის ექსპერტთა აზრით, ეს ნიშნავს, რომ ხუნტა ფაქტიურად ცნობს ლ. ბოლესა და ვ. ა. ზორინს შორის წერილების გაცვლის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობის გაუქმების შესახებ, აგრეთვე მოლაპარაკების მონაწილეთა 19 სექტემბრის სიტყვებს.

იუგოსლავია

ბელგრადი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთებმა „ბორბამ“ და „პოლიტიკამ“ გამოაქვეყნეს შინაარსი საბოლოო კომუნიკესა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე ხელშეკრულება ამ ქვეყნების ურთიერთობის შესახებ.

ინდოეთი

დელი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთებმა „ჰინდუსტან სტანდარდმა“, „ჰინდუსტან ტაიმსმა“ და „სტეიტსმენმა“ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს ცნობა, რომ დაიდო ხელშეკრულება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ.

ყველა გაზეთი სათაურებში აღნიშნავს დებულებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის შესახებ.

ეგვიპტე

კაირო, 21 სექტემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთი აქვეყნებს ცნობას სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ. გაზეთები ბეჭდავენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების ტექსტს, ცნობას ლ. ბოლესა და ვ. ა. ზორინს შორის წერილების გაცვლის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობის გაუქმების შესახებ, აგრეთვე მოლაპარაკების მონაწილეთა 19 სექტემბრის სიტყვებს.

ბულგარეთი

ბუდაპეშტი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ყველა ცენტრალური გაზეთი აქვეყნებს საბოლოო კომუნიკეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკების შესახებ, მათი ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების ტექსტს, ცნობას ლ. ბოლესა და ვ. ა. ზორინს შორის წერილების გაცვლის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობის გაუქმების შესახებ, აგრეთვე მოლაპარაკების მონაწილეთა 19 სექტემბრის სიტყვებს.

ალბანეთი

ტირანა, 21 სექტემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთმა დღეს თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა საბოლოო კომუნიკე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ. პრესა აქვეყნებს აგრეთვე ხელშეკრულების ტექსტს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ო. გროტეოლის და მოლაპარაკების სხვა მონაწილეთა სიტყვებს.

ა. ნაგინგმა ინახულა ვ. მ. მოლოტოვი

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). 20 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი ინახულა ინგლისის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში ა. ნატინგმა.

ვ. მ. მოლოტოვთან ა. ნატინგის საუბარს დასწრო სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი.

ნერუს განცხადება სახალხო პალატაში

დელი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დღეს სახალხო პალატაში განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობის აზრით ატომის ენერგია გამოყენებულ უნდა იქნას მშვიდობიანი შემოქმედებითი მიზნებისათვის და რომ ატომგულის ენერგია და მიღწევები ქიმიასა და ბიოლოგიაში არ უნდა გამოიყენონ მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოებისათვის. ინდოეთის მთავრობა მოითხოვს დაუყოვნებლივ აიკრძალოს ასეთი იარაღი ამ გზით, რომ დაიდოს შეთანხმება ქვეყნებს შორის, რომლებსაც ეს შეეხებათ. ინდოეთი დაიცავს ამ თვალსაზრისს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე ამ ორგანიზაციის გარეთ.

არგენტინის ამბები

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, 21 სექტემბერს დილით აჯანყებულთა საოლქო-ბაძ გამოაცხადა, რომ ქალაქ კორდობაში ჩამოყალიბდა ეროვნული მთავრობა. ცნობაში აღნიშნულია, რომ ახალ მთავრობას მეთაურობს აჯანყებულთა ჯარების სარდალი გენერალი ედუარდო ლონარდი.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტება არგენტინიდან იუწყებიან, რომ სამხედრო ხუნტის წარმომადგენლებმა, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება პერონის გადადგომის შემდეგ, გუშინ მოლაპარაკება დაიწყეს აჯანყებულთა სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალ ადმირალ როხასთან მის კრეისერ „არგენტინაზე“. აჯანყებულთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს ხუნტის ერთგული მთელი ჯარების უსიტყვო კაპიტულაცია და არგენტინის ყოფილი პრეზიდენტის პერონის გადაცემა სამართალში მისაცემად.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს მიერ ბუენოს-აირესიდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ მმართველმა სამხედრო ხუნტამ, რომელსაც გენერალი ხოსე მოლინა მეთაურობს, მიიღო აჯანყებულთა სარდლობის მიერ წარდგენილი ყველა პირობა.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, რომ სამხედრო ხუნტამ გამოაქვეყნა კომუნიკე აჯანყებულთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შესახებ. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ხუნტასა და აჯანყებულთა ხელმძღვანელობას შორის დაიდო საზავო შეთანხმება და რომ არგენტინის დროებით პრეზიდენტად დანიშნულია გენერალი ედუარდო ლონარდი.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი თავის ცნობაში აღნიშნავს, რომ გენერალი ლონარდი არგენტინის წარმომადგენელი იყო თავდაცვის ეგრეთწოდებულ საამერიკათაშორისო საბჭოში, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელია ვაშინგტონი.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი სანტიაგოდან (ჩილი) გადმოგვცემს, რომ არგენტინის მეორე არმიის სარდალმა, რომელიც აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა, გენერალმა ლავოსმა 20 სექტემბერს საღამოს განაცხადა, რომ აჯანყებულთ შეუერთდნენ არმიის ნაწილები არგენტინის სამხრეთ პატაგონიის რაიონში და ჩრდილოეთ პროვინციებში. ლავოსმა იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტს ტელეფონით აცნობა, რომ ამ პროვინციების გუბერნატორები — პერონის მომხრეები—გადაყენებული არიან თავიანთი პოსტებიდან და რომ ძალაუფლება ძირითად ქალაქებში აჯანყებულთა ხელშია.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან გადმოგვცემს, რომ ქალაქში დილაადრიან დაიწყო ბრძოლა ყოფილ პრეზიდენტ პერონის მომხრეებსა და არმიის ნაწილებს შორის. კორესპონდენტი იუწყება, რომ ტანკებმა არტილერიის, ჯარებისა და ავიაციის დახმარებით სროლა აუტეხეს იმ შენობას, სადაც პერონის რამდენიმე ასეული შეიარაღებული მომხრე იყო. შენობა დაინგრა შიგ არსებული საომარი მასალის აფეთქების გამო. ცნობაში ნათქვამია, რომ გადარჩა პერონის მომხრეთა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც შენობაში იმყოფებოდა.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, 21 სექტემბერს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ იგი „განიხილავს საკითხს არგენტინაში ახალი რეჟიმის ცნობის შესახებ“.

ინგლის-ამერიკის სავაჭრო წინააღმდეგობის გამო

ლონდონი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის გაზეთ „დეილი მეილის“ ნიუიორკელი კორესპონდენტი დონ იდონი წერს, რომ „ინგლის-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობაში ახლანდელი კრიზისის გამო — ეს კი შართლაც კრიზისია — ინგლისელებმა უნდა აიმაღლონ ხმა“. კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისელებს „ყველა საფუძველი აქვთ იყვნენ უფაზენბერდ, ამედგატრუებულნი და შეშფოთებულნი“ ამერიკის შეერთებული შტატების ლონისძიებებით საგარეო ვაჭრობის დარგში. გაზეთი მკვეთრ უკმაყოფილებას გამოთქვამს „დისკრიმინაციულ ღონისძიებათა“ გამო, რომელებსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ ინგლისური საქონლის შეზიდვის მიმართ.

უცხოეთის პრესის ინტერესი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკებისადმი

პოლონეთი

ვარშავა, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე დიდი სათაურებით გამოაქვეყნა საბოლოო კომუნიკე სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ, ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე მოსკოვის მოლაპარაკების სხვა დოკუმენტები.

გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოსკოვის მოლაპარაკება და მისი წარმატებითი შედეგები დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, გერმანიის სახელმწიფოს გაერთიანების სწორი გზისათვის ბრძოლაში.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ყველა ცენტრალური გაზეთი აქვეყნებს საბოლოო კომუნიკეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკების შესახებ, მათი ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების ტექსტს, ცნობას ლ. ბოლესა და ვ. ა. ზორინს შორის წერილების გაცვლის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობის გაუქმების შესახებ, აგრეთვე მოლაპარაკების მონაწილეთა 19 სექტემბრის სიტყვებს.

იუგოსლავია

ბელგრადი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთებმა „ბორბამ“ და „პოლიტიკამ“ გამოაქვეყნეს შინაარსი საბოლოო კომუნიკესა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე ხელშეკრულება ამ ქვეყნების ურთიერთობის შესახებ.

ინდოეთი

დელი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთებმა „ჰინდუსტან სტანდარდმა“, „ჰინდუსტან ტაიმსმა“ და „სტეიტსმენმა“ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს ცნობა, რომ დაიდო ხელშეკრულება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ.

ყველა გაზეთი სათაურებში აღნიშნავს დებულებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის შესახებ.

ეგვიპტე

კაირო, 21 სექტემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთი აქვეყნებს ცნობას სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ. გაზეთები ბეჭდავენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების შინაარსს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ურთიერთობა აგებული იქნება სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპზე.

„იჯიპშნ გაზეტა“ სათაურში წერს, რომ აღმოსავლეთი გერმანია მთლიანად სუვერენულია.

ყველა გაზეთი გამოყოფს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობის გაუქმების შესახებ.

ალბანეთი

ტირანა, 21 სექტემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთმა დღეს თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა საბოლოო კომუნიკე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ. პრესა აქვეყნებს აგრეთვე ხელშეკრულების ტექსტს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ო. გროტეოლის და მოლაპარაკების სხვა მონაწილეთა სიტყვებს.

ისტორიული ხელშეკრულება

ბერლინი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ყველა დემოკრატიული გაზეთი მსხვილი სათაურებით თავსებს ცნობას მოსკოვში მოლაპარაკების დამთავრების შესახებ და „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების“ ხელმოწერის შესახებ. პირველ გვერდებზე გამოქვეყნებულია საბოლოო კომუნიკე სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ, ხელშეკრულების სრული ტექსტი, ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბოლესამ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა წერილები გაცვალეს, და ცნობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობის გაუქმების შესახებ.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ თავისი მოსკოველი სპეციალური კორესპონდენტის სტატიაში სათაურით „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების ახალი ეტაპი“ წერს: ხელშეკრულება, რომლის ხელმოწერითაც დამთავრდა მოსკოვის მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის, სავსებით შეესაბამება იმ გულითად ატმოსფეროს, რომელშიც ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა... ასეთ ატმოსფეროში შობილ ხელშეკრულებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი საფუძველს უყრის ახალ ეტაპს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებაში. არის რა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კარგი, მეგობრული ურთიერთობის შედეგი, ეს ხელშეკრულება, თავის მხრივ, წარმოადგენს მათი მეგობრობის, ისევე როგორც საბჭოთა ხალხისა და მთელი გერმანელი ხალხის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საფუძველს.

სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების დადება ნაკარნახევია იმის საჭიროებით, რომ ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში შეიქმნა ახალი მდგომარეობა პარიზის შეთანხმებათა ხელმოწერისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო კავშირში დასავლეთ გერმანიის შეყვანის შედეგად.

„ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება განსაზღვრავს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

ხელშეკრულების შესაბამისად, აღნიშნავს გაზეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით თავისუფალია თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, ამასთან ეს, რა თქმა უნდა, ეხება აგრეთვე მის ურთიერთობას დასავლეთ გერმანიასთან. ხელშეკრულება, უეჭველია, ხელს უწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცების საქმეს და აძლიერებს მის საერთაშორისო ავტორიტეტს. ამასთან ერთად, იმის გამო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არის გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის ბურჯი, ხელშეკრულება ხელს უწყობს მშვიდობის უზრუნველყოფას და გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებას საკითხში გერმანელთა ურთიერთგაგების მიღწევის ინტერესებისათვის.

საგაზეთო კალეიდოსკოპი

პირველობა — ბერლინში

ფესტივალ კვირა გრძელდება მეუოვანი ბრძოლა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდებს შორის.

უკვე გათამაშებულია ხუთი ტური. წინ არის რუსეთის ფედერაციის კოლექტივი, რომელმაც 27 ქულა მოაგროვა 40 შესაძლებელში. რუსეთის სფსრ გუნდსა მოუგო მოსკოვის მოჭადრაკეებს (6 : 2), ლატვიისა და უკრაინის (4,5 : 3,5), ბელორუსიის (5,5 : 2,5) და უზბეკეთის (6 : 1,5) მოჭადრაკეებს. საუკეთესოდ თამაშობს საერთაშორისო ოსტატი ნეფმეტდინოვი. მან თავის გუნდს შემატა ხუთი ქულა ხუთ შესაძლებელში.

ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩა ლენინგრადის გუნდი. ოთხი გამარჯვების შემდეგ ლენინგრადელები მეხუთე ტურში დამარცხდა ლატვიის გუნდმა.

მესამე ადგილზეა უკრაინის გუნდი, რომელსაც 25 ქულა აქვს. დიდი ალმაცლობით ითამაშა მან ბატონ საქართველოსა და უზბეკეთის გუნდებთან, და გაიმარჯვა საუკეთესო ანგარიშით 7,5 : 0,5 და 7 : 1. უკრაინელებმა მოუგეს ლატვიის გუნდს (4,5 : 3,5), მაგრამ მოსკოვისა და რუსეთის სფსრ მოჭადრაკეებთან შეხვედრაში დამარცხდნენ.

მეოთხე ადგილზეა ესტონეთის გუნდი (22 ქულა). ხუთი შეხვედრიდან ესტონელებმა წაგეს მხოლოდ ერთი, ორი ყაიმით დაამთავრეს. მოჭადრაკე როოტარეს დიდ პირად წარმატებას მიაღწია. მან დამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი ბოკოვა და მსოფლიო ექსჩემპიონი რუდენკო.

21 ქულა მოაგროვა ლიტვის მოჭადრაკეთა კოლექტივმა. მან მოუგო ბელორუსიის (4,5 : 3,5), საქართველოს (5 : 3) და უზბეკეთის (5,5:2,5) გუნდებს. მეექვსე და მეშვიდე ადგილებს (19,5 ქულა) ინაწილებენ ლატვიისა და ბელორუსიის გუნდები. მხოლოდ მერვე ადგილზეა მოსკოვის მოჭადრაკეთა გუნდი (17,5 ქულა). მოსკოველები ფინალში თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად დაბლა თამაშობენ. მათ წაგეს ორი მატჩი, ორი დაამთავრეს ყაიმით და მოიგეს მხოლოდ ერთი. ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან მოს